572/
1983/2

ISSN 0132-5965



№ 8 სექტემბერი 1983 წ.

ცისარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოურმა ყოფამ მრავალგვარი ხიკეთე დაამკვიდრა ისტორიული მესხეთის მიწა-წყალზე, სადაც დღევანდელი საქართველოს რამდენიმე რაიონია გადაშლილი... მაგრამ ძველი განსაცდელის ნაშთად მაინც დიდხანს იყო აქ შემორჩენილი გაუკაცრიელებული და გაპარტახებული ადგილები... დღეს ძველი მესხეთის მიწა-წყალზე ისევ სახლდება ქართველი კაცი, ახალი გზებით შედის ხიცოცხლე ამ ადგილებში, ხიცოცხლე უბრუნდება მიწას... (ალბათ ყველას გინახავთ ფილმი „მშობლიური ჩემო მიწავ“ — სწორედ ამაზეა იგი).

რომელი ერთი გითხრათ!

მოდით, ხილით დავიწყოთ, იმიტომ, რომ ხილი ყველა ბავშვს უყვარს, და მესხეთის ხიბაბაღე კი მუდამ იყო ხაუცხოო ხეხილის ბაღები, განთქმული მესხური ვაშლი.

დღეს ახალციხის ხანერგე მეურნეობა მესხური ვაშლის, მესხური ხილის ნერგებს ხხვადახხვა რაიონებს უგზავნის გახახარებლად და გახამრავლებლად.

ახალციხის და ადიგენის საკონსერვო ქარხნები ამზადებენ ხილის და ბოსტნეულის ჩინებულ კონსერვებს, რომლებიც თქვენც უხათუოდ გაგიგიონ ინ ჯავთ...

ვიხაც შვეიცარული ყველი გიყვარო, იცოდეთ, რომ ჩვენში მახ ამზადებს ახალქალაქის ყველ-კარაქის ხაწარმო.

68 ხახის ხხვადახხვაგვარი ტრიკოტაჟული ნაწარმი, მათ შორის თქვენთვის ახე ხაჭირო ხპორტული ფორმებიც მზადდება ბოგდანოვკაში, ტრიკოტაჟის გაერთიანება „ხპატრიონის“ ფილიალში.

ახპინძის რაიონში თავმოყრილია ქართული კულტურის მრავალი ძეგლი — ვარძია, ვანის ქვაბები, ხერთვისი, თმოგვი; სულ ახლოს არის კუმურდო, საფარა, ზარზმა... ამიტომ ამ ცოტა ხნის წინ ვარძიის ტურბაზა ხაკავშირო მარშრუტებში ჩართეს და ახლა იქაურობას ხაბჭოთა ქვეყნის ხხვადახხვა კუთხიდან ჩამოსული ათასობით ტურისტი მოინახულებს.

ახალციხის რაიონში მოიპოვება მურა ნახშირი, აქატ-დიატომიტის ხაბადოები; პირველი რკინიგზა აქ მაშინ გაიყვანეს, როცა ვალეს ქვანახშირის დამუშავება დაიწყო — ეს იყო დიდი ხამამულო ომის დამთავრებისთანავე... ახლა კი ძველი მესხეთის მიწაზე ახალი რკინიგზა გაპყავთ — მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა...

ადიგენის რაიონი განთქმულია წიწვიანი ტყეებით, მზიანი დღეების სიუხვით. აქ არის ხაქვეყნოდ ცნობილი კურორტი ახასთუმანი, აქვე, ყანობილის მთაზე აშენებულია ხაბჭოთა კავშირის პირველი ხამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია, რომელსაც დაარსებიდან, 1932 წლიდან დღემდე, ესე იგი 50 წელიწადზე მეტი ხანია, ხელმძღვანელობს დიდი ქართველი მეცნიერი ევგენი ხარაძე. აქედან, ყანობილის გამჭვირვალე ჰაერიდან ვარსკვლავეთისკენ გაიცქირება ვეებერთელა ტელესკოპი და ხამყაროს მრავალჯერ ამოუცნობი საიდუმლოს ამოხსნას გვპირდება.

გაიზრდებით და ყველა თქვენგანი თავ-თავის გზას მონახავს ცხოვრებაში. და ჩვენ, უფროსებს, იმედი გვაკვს, რომ ბევრი თქვენგანი ძველ მესხეთსაც მიხედავს, — ახალ გზებს, ახალ ხკოლებს, ახალ ქარხნებს ააშენებს იქ, რომ ისევ მძლავრი და ხახელოვანი იქნეს ძველთაძველი ქართული მიწა.

მესხეთის თავგადასავალი

იქნებ აქამდეც გაგიგონიათ ხახელები: ხამცხე, ჯავახეთი, ტაო, კლარჯეთი... აჭარა ხომ ნამდვილად ყველამ იცით! ჰოდა, დაიმახსოვრეთ, — ყველა ეს ადგილი, და კიდევ: არტაანი, კოლა, შავშეთი, ნიგალი, სპერი ერთ დროს მ ე ს ხ ე თ ი ს შემადგენელი თემები იყო. მესხეთი ნიშნავს მესხების ადგილ-სამყოფელს. მესხები კი ქართული მოდგმის ერთ-ერთ ტომს ერქვა. ეს ტომი დიდი, დიდი ხნის წინ ცხოვრობდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე, მდინარეების მტკვრისა და ჭოროხის აუზის ზემო ნა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მესხეთ-ჯავახეთი

გადმოვლახეთ მთა და სერი, მოვიარეთ ჰანგძლიერი
მშვენიერზე მშვენიერი იმერეთი, ქართლ-კახეთი.
ეამთა ცეცმა ვერ აჩალა თვალწარმტაცი მთა და ბალა
და ბა. თვალწინ გაიშალა ძველი მესხეთ-ჯავახეთი!
აქ ვარძიის მკვიდრ სავანეს ტბა ანათებს თავფარავნის.
მთა მრავალი ამირანის, მრავალ საუკუნის სვეტი...
იყო მრავალეამიერი ძველისძველი ჩვენი ერი.
მისი სახე, მისი ფერი, მისი მესხეთ-ჯავახეთი!
ვნახულობდი მთაში მწყემსებს და ვმღეროდი ახალ ლექსებს.
რომ დროს გააუკეთესებს შრომა მხვნელი, შრომა მჭედი,
რომ მშვიდობა არ თავდება, რომ მზე ამოთავთავდება
და კვლავ უფრო აყვავდება ჩვენი მესხეთ-ჯავახეთი!
ამოძრავდეს მთა და ქედი, გამოპრწყინდეს ქართლის ბედი,
ახმაურდეს ვეფხი მეტი, მეტის ძალით და იმედით—
დღეგრძელობდეს მესხი! თან ის მესხი—უახლოეს ხანის,
მესხი „ვეფხისტყაოსანის“. მესხი მესხეთ-ჯავახეთის!

ბალაკტიონი

წილში. მესხეთს ზემო ქართლსაც ეძახდნენ. ყველა შავშელი, აჭარელი, ჯავახელი თუ სხვა თემის წარმომადგენელი ტომით მესხი იყო, ხოლო ეროვნებით — ქართველი.

ისტორიულად მესხები ერთ-ერთი უძველესი ქართველი ტომია. „მუშკები“ — მერ-ქინდელი მესხები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-13 საუკუნეში, ესე იგი დაახლოებით სამი ათას სამასი წლის წინ ცხოვრობდნენ მცირე აზიაში და დიდი გაერთიანება „დიაოხი“ შექმნეს; 400 წლის შემდეგ „დიაოხი“ ურარტუელებმა დაიმორჩილეს. კიდევ 300 ნელი გავიდა. დაეცა ურარტუს სახელმწიფო, და მესხეთი სხვა ქართულ ტომებთან ერთად სპარსელებმა დაიპყრეს. 200 წლის შემდეგ მესხების ნაწილი გაეცა ახალ დარბევებს და დღევანდელი ქართლის ტერიტორიაზე გადმოვიდა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამ დროს, მესხთა ტომის სახელის მიხედვით გაჩნდა ტოპონიმი (ანუ ადგილის სახელი) „მცხეთა“. ამის შემდეგ მესხები უკვე იბერიის სამეფოში იყვნენ მოქცეული და მეფე ფარნავაზს ემორჩილებოდნენ. ამ დროს შემტკიცდნენ ქართველი ტომები, ამ დროს დაიწყო გავრცელება ერთიანმა ენამ — ქართულმა, შემოვიდა მწიგნობრობა, შეიქმნა პირველი ეროვნული ძეგლები. კიდევ გავიდა ხანი და საქართველოს გაძლიერებას დიდად შეუწყო ხელი ერთიანი ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამ. მეფე ვახტანგ გორგასალის დროს მესხეთი საკმაოდ ძლიერი და ხალხმრავალი მხარე იყო, მაგრამ მერე ის საშინლად ააოხრეს არაბებმა და მესხეთი თითქმის გაუდაბურდა. მალე მესხეთი შეავ-

ქ. ბარგების სახ. სახ. სარ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა № 1

მხატვარი **მიხეილ ნონიკაშვილი**

„ᲓᲘᲚᲘᲡ“ ᲛᲔᲝᲗᲔᲑᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ „ᲯᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ“. ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲕᲘᲗᲮᲝᲕᲗᲔᲗ ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲕᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲖᲔ ᲒᲕᲔᲫᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ, ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ, ᲐᲜᲣ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲒᲝᲜᲔᲑᲘᲜᲐᲗ. ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲪᲘᲔᲚᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝᲡᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ. ᲘᲜᲓᲘᲡᲯᲔᲚᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲚᲝᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲔᲡᲔᲑᲗᲔᲗ ᲣᲙᲘᲓᲐᲕᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ: „ᲠᲐ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲐᲐᲒᲝ?!“ ᲐᲛᲘᲠᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲡ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ, ᲘᲪᲝᲓᲔᲗ — ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲖᲔ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ.

ᲕᲐᲠᲫᲘᲐ

ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲜᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲥ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ ᲙᲚᲓᲔᲨᲘ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ-ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ ᲕᲐᲠᲫᲘᲐ. ᲘᲒᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲚᲘᲔᲠ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲨᲘ.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲛᲪᲔᲛᲘᲗ ᲕᲐᲠᲫᲘᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲡ—ᲒᲘᲝᲠᲒᲘ III-Ს ᲓᲐᲣᲬᲧᲘᲡ, ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲘ ᲗᲐᲛᲐᲠᲡ ᲓᲐᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ, ᲛᲝᲮᲐᲢᲕᲐᲪ ᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐ. ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲠᲫᲘᲐ 1156-1184 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲨᲔᲜᲓᲐ.

700 ᲛᲔᲢᲠᲘᲗ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲞᲘᲢᲐᲚᲝ ᲙᲚᲓᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲭᲙᲕᲝᲜᲘᲚᲘ ᲕᲐᲠᲫᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲨᲕᲘᲓᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲐᲗᲝᲜᲘᲐᲜᲘ. ᲗᲐᲕᲓᲐ�პᲘᲠᲕᲔ-

---

სო ქართლიდან გადასულმა ხალხმა. მათ შორის იყო არაბთა ბატონობას გაქცეული ადარნასე ერისთავი. მისი შვილი აშოტ კუ-რპალატი იმ დროს გაძლიერებული ქვეყ-ნის — ბიზანტიის მფარველობაში შევიდა და შექმნა საკმაოდ ძლიერი ტაო-კლარჯე-თის სამთავრო.

ტაო-კლარჯეთის სამთავრო თანდათან გაძლიერდა და ტერიტორიულადაც გაიზარ-და. როგორც მთელ საქართველოში, აქაც დიდი წარმატებით მიიწევდა წინ ქართული ენა, იგებოდა ხუროთმოძღვრული ძეგლები — ოშკის, ბანას, ხახულის, ზარზმის მონას-ტრები; იწერებოდა ქართული ლიტერატუ-რის მშვენიერი ქმნილებები.

ამავე დროს იყო, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეები გასაერთიანებლად იბრძოდნენ. ცოტაც და მესხეთი ერთიანი სა-ქართველოს შემადგენლობაში შევიდა და მეფე ბაგრატ III-ს დაემორჩილა.

თამარ მეფის დროს მესხეთი წარმატებით მონაწილეობდა ბრძოლებში საქართველოს მტრების წინააღმდეგ, ის კი არა და მესხთა რაზმები წინ მიუძღოდნენ ხოლმე ლაშ-ქარს. ამ დროს სახელოვანი სარდლები იყვნენ შალვა და ივანე ახალციხელები. მეს-ხეთმა მისცა საქართველოს საამაყო ადამია-ნები: იოანე, ეფთვიმე და გიორგი მთაწმინ-დელები, ეფრემ მცირე, ოქრომჭედლები ბე-ქა და ბეშქენ ოპიზარები, პოეტები სარგის თმოგველი და დიდი შოთა რუსთაველი.

როცა საქართველოს მონგოლები შემოე-სიენ, მესხებმა ივანე ციხისჯვარელ ჯაყე-ლის მეთაურობით მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ. მონგოლთა განდევნის შემ-დეგ მესხეთს თანდათან დაეუფლენ გადაგვა-რებული ქართველები — სამცხის ერისთავე-ბი ჯაყელები. მათ ერთიან საქართველოს ჩა-მოაცილეს სამცხე-საათაბაგო (ასე ეწოდებო-და ახლა მესხეთს). მერე ეს მხარე თურქებმა დაიპყრეს და აქ ფაშებად ისევ მოღალატე ჯაყელები დატოვეს. მესხთა ცხოვრებაში მძიმე დღეები დადგა. ვინც არ გამაჰმადი-ანდებოდა, იმას მინას ართმევდნენ... დრო გადიოდა და ხსნა არსაიდან ჩანდა. დიდი ხნის შემდეგ მეფე ერეკლე II შეეცადა მესხე-თის გამოხსნას, მაგრამ ამაოდ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდ-ეგ,—რუსეთ-თურქეთის ომების დროს, რუს ქართველთა რაზმებმა შეძლეს ჯერ ორი თე-მის — სამცხისა და ჯავახეთის, უფრო გვი-ან კი — აჭარის გათავისუფლებაც. სამწუხა-როდ, ქართული ისტორიული მინა-წყლის გა-თავისუფლებას უმტკივნეულოდ არ ჩაუვ-ლია. რუსეთმა ჯავახეთიდან და სამცხიდან თურქეთში გადაასახლა 40 ათასი გამაჰმა-დიანებული მესხი და მათ ნაცვლად 35 ათა-სი ერისტიანი სომეხი ჩამოასახლა. ბევრი ხალხი გაასახლეს აჭარიდანაც.

მესხეთის ცხოვრება ძირფესვიანად შეი-ცვალა მხოლოდ 1921 წლის შემდეგ, მას შე-მდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლებამ გაიმარჯვა.

ᲨᲝᲗᲐ ᲚᲝᲛᲡᲐᲫᲔ.

ლად, როგორც ეტყობა, ვარძიაში 1500-მდე გამოქვაბული ყოფილა, მათგან ახლა 900-ღაა შემორჩენილი. დანარჩენი საუკუნეთა მანძილზე ჩამონგრეულა.

მშვიდობიანობის დროს ვარძიაში ბერები ცხოვრობდნენ, ხოლო როცა იქაურობას მტერი შემოესეოდა, იგი მოსახლეობის თავშესაფარად იქცეოდა ხოლმე.

მაშინდელი ვარძიის სრული სახით წარმოდგენა ახლა მეტად ძნელია, რადგან, როგორც ვთქვით, ნაწილიღაა გადარჩენილი. ჯერ იყო და XIV საუკუნეში იგი თემურ ლენგის ურდოებმა დაარბიეს და გაძარცვეს. XVI საუკუნეში კი შაჰ-თამაზმა მოუთავა ხელი. როგორც ჩანს ვარძიის სიმდიდრემ და მორთულობამ XVI საუკუნის შუა ხანებამდე მოაღწია, შემდეგ იგი თანდათან გავერანებულა და დიდხანს უკაცრიელი ყოფილა. მესხეთი ხომ საუკუნეობით თურქეთს ჰქონდა მიტაცებული. მხოლოდ 1829 წელს რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დაუბრუნდა ვარძია საქართველოს. გასულ საუკუნეში იგი მცირედ შეუკეთებიათ და დროებით წირვა-ლოცვაც აღუდგენიათ.

ვარძიას საფუძვლიანად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიხედეს. ჯერ კიდევ 1938 წელს იქ მუზეუმი გაიხსნა.

ახლა ვარძიას სახელმწიფო იცავს და უვლის. მის სანახავად ჩამოსულ ათასობით უცხოელს თუ სხვა სტუმარს ჩვენი ისტორიული დიდების ეს ძეგლი დღესაც აღაფრთოვანებს თავისი სიდიადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა ფაილოძე.

ფეხბურთელები

— არჩევანი მე...
— არადანი მე...
— ოთარი მე...
— ვახტანგი მე...
— ბესიკი მე...
— ჯონდო მე...

თემურმა და შოთამ თერთმეტ-თერთმეტი ბიჭუნა გადათვალეს და უბნის ოქტომბრელებისაგან ფეხბურთის ორი გუნდიც შეიკრა.

ბიჭები ყიჟინით დაეშვნენ ცხენისწყლის ჭალებისაკენ. მდინარის შორიახლო ფართო ადგილი შეარჩიეს, აქეთ-იქით ქვებით კარები მონიშნეს და ფეხბურთის მოედანიც მოეწყო. გაჩაღდა თამაში.

მსაჯობა მენახირე შაქრო ძიას სთხოვეს. ის საქონელს მუდამ აქეთ აძოვებს. თუ მწვანე ბალახი ძროხებს ცოტა შორს გაიტყუებს, შაქრო ძია მაშინვე მსაჯობას წყვეტს და მასთან ერთად ბიჭებიც შეძახილებით უკან აბრუნებენ ნახირს. შემდეგ თამაში გრძელდება...

ყოველდღე ასეა... და ხან თემურის ოქტომბრელები იმარჯვებენ, ხან შოთასი. მაგრამ ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, დღე არ გავა, ჯონდომ ბურთი არ გაიტანოს. მაგარი თავდამსხმელია. თავის მაისურზე ყოველდღე ნახშირით შავად აფერადებს რიცხვს 11.

ზღვასთან დამშვიდობება

საყვირის ნიშანს არჩილ მასწავლებლის განკარგულება მოჰყვა:

— ყველანი დილის გამამხნევებელ ვარჯიშზე! მოედნისკენ ნაბიჯით იარ!

მწვანე კონცხის ბანაკს მოედანიც ზღვის ნაპირზე, მოლივლივე ტალღების ახლოს აქვს...

პიონერები რაზმების მიხედვით მოეწყვნენ, ოქტომბრელთა ჯგუფი და მათი ხელმძღვანელი ალეკო კი ცალკე დადგნენ... ვარჯიშის შემდეგ ყველამ ზღვას მიაშურა. ზოგმა გაბედულად შესცურა წყალში.



— რაღას უცდი, აბა სწრაფად! ჩახტი! — გასძახა ალეკომ ნაპირთან მობუზულ ბონდოს.

— ცურვა არ ვიცი, მეშინია...

— ეშინია! — სიცილი დააყარეს გოგონებმა.

— წითელ წყაროში ზღვა არ არის, აქ პირველად ვნახე.

— გაბედე! — გაამხნევა ბონდო ალეკომ; მანაც ფრთხილად შეტოპა წყალში, ალეკომ მუცელქვეშ მკლავები მოუმარჯვა და ხელ-ფეხის ამოძრავება უბრძანა...



ბანაკის დახურვის დღეს პიონერებმა ზღვასთან დამშვიდობება მოაწყეს. ალეკომ ოქტომბრელები ცურვაში შეაჯიბრა ერთმანეთს.

ბონდო მარტო ერთი მკლავის მოსმით ჩამორჩა რეზოს, და მეორე ადგილზე გავიდა.

მერე ერთიც, საბოლოოდ, ხლვასთან დასამშვიდობებლად გაცურა ნაპირის გასწვრივ, ისე ახლოს, რომ ფსკერზე კენჭების დათვლა შეეძლო. თითქოს ამით უნდოდა ეთქვა: ნახვამდის, მე და შენ უკვე მეგობრები ვართ, მე შენს ყოველ კენჭს ვიცნობო!

ნაჩუქარი კალათა

ბადრი ყოველ ზაფხულს ჩადის სტუმრად თედო პაპასთან. ჩავა თუ არა, სოფლის ბიჭები მასთან გაჩნდებიან, დიდი თუთის ჩრდილქვეშ...

წელს ბავშვებმა მეთაურებად ბადრი და გია აირჩიეს: შემდეგ დასხდნენ და გეგმა დააწყეს:

— ხვალ გუჯარულაზე ანკესებით მივდივართ...

— ზეგ თედო პაპას ტყეში მივყვებით, ნაძვები უნდა დავთვალოთ, ტყის მცველს უნდა დავეხმაროთო...

— მერე ნანა გვეპატიჟება, ფუტკრის ოჯახები უნდა გაჩვენოთო.

— ნატო ბებოს მსხალი რომ დამწიფდა! — წამოსცდა პირისწკლატუნით ვიღაცას.

ბადრიმ ნატო ბებოს მსხლები ინატრა.

კენჭი ყარეს.

ოთარს ხვდა წილად დაეკრიფა და უბით ბიჭებთან მოეტანა.

...ირგვლივ მხოლოდ ჭრიჭინობელას გაბმული ჭრიჭინი ისმოდა...

მეორე დღეს სათევზაოდან რომ მობრუნდნენ, ახლა ბადრის ერგო ნატო ბებოს მსხლების დაკრეფა.

ასე იყო ყოველდღე...

ერთ დღეს თბილისიდან ბადრის მამა ჩამოვიდა, ჩემი გეოლოგიური პარტია სვანეთში მიემგზავრება და ბადრიც თან უნდა წავიყვანოო. ბავშვები თუთის ხესთან შეგროვდნენ. ბადრი ბიჭებს დაპირდა, სვანურ კოშკებს ჩავიხატავ და გამოგიგზავნითო.

— თედო-ო! — ღობეს ნატო ბებო მოადგა.

ბავშვები გაყუჩდნენ.

— ბადრი მამამისს სვანეთში მიჰყავსო, მითხრეს; იქ ხილი ხომ გვიან შემოდის, და აი ამ პატარა კალათით მსხალი მინდა გავატანო...

ბიჭებს ხახა გაუშრათ.

ბადრი დაიბნა. თვალი ვერ გაუსწორა ნატო ბებოს.

— მიდი, გამოართვი, — უთხრა პაპამ.

ბადრის კალათა ემძიმა, თითქოს მკლავმოწყვეტილმა მიიტანა მანქანასთან... ბავშვები თავჩაღუნული იდგნენ... ნატო ბებო კი პირზე ღიმმომდგარი გზას ულოცავდა ბადრის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩვეულო ნადავლი

შაქრო ხაჟადაშვილი

ღამეა. ცელქი ილია კარგა ხანია ლოგინში ჩაწვენილა, მაგრამ არ დაეძინა.

— ბიჭო, გაჩუმდი, თვალები დახუჭე და დაგეძინება, — უთხრა დედამ.

— არ დავიძინებ! — გამოჯავრებით წაილაპარაკა ბავშვმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მინდა გავიგო, მამა რას იტყვის მინდორში წასვლაზე.

— აი, თურმე რა ყოფილა, — თქვა დედამ და მეუღლეს ჰკითხა:

— ხვალ მიდიხარ თუ არა ჩალის სატეხად?

— წავალ, ოღონდ ჩვენებიანთ გაბოს გადასძახე, ხვალ ვირი მათხოვოს, ჩალაში მისასვლელ ბილიკებზე ვირი უფრო გამოსადეგია.

— აუჰ, რა ძალიან მიყვარს ვირზე ჯდომა! — ჩაილაპარაკა ილიკომ.

— მე რომ წავალ, შენ იმ დროს ღრმა ძილში იქნები! — მიაძახა მამამ...

მაგრამ დილით ილია ფეხზე ამდგარი და გამოწყობილი დახვდა მამას.

— ბიჭო, ასე ადრე რამ გაგაღვიძა?

— დაძინების წინ ჩავიფიქრე, რომ ადრე უნდა გამეღვიძა.

— მოდი შენა, და ამისთანა ყოჩაღ ბიჭს თხოვნაზე უარი უთხარი! — გაიცინა მამამ.

იმ დილის მზიური ბრწყინვალება რა სათქმელი იყო ბავშვის სიხარულით ანთებულ სახესთან!

...ტკბილ კითხვაპასუხობანაში მამა და შვილი ჩაფიქრებულ ადგილზე მივიდნენ. მამამ ერთი ველური ეკალმცენარე იპოვა, ვირი მის სქელ ძირზე დააბა და მუშაობა გააჩაღა. ის ჭრიდა ჩალას, ილია კი აგროვებდა, და მალე სახლიდან წამოღებული რბილი მავთულით უკვე ორი კოხტა კონა შეკრეს. მოიხედეს და ვირი ვეღარ დაინახეს — ეკალმცენარე მოეგლეჯა და სადღაც წასულიყო.

— დახე, ეგ სამგლე როგორ გაპარულა! — თქვა მამამ და ბიჭი ბილიკზე გაიყოლია. ბილიკმა ვირის მაძებრები ერთ მოზრდილ ყალთაღზე გაიყვანა. ჩალით შემოზღუდულ ადგილზე ნახევარი მეტრის სიმაღლის ძურწა ბალახი ბიბინებდა და ვირი ამ ბალახს გაეჩერებინა. ყალთაღის შუაგულში ბორცვადქცეულ ნაშალზე მოსულიყო ერთადერთი ძირი საზამთრო, რომელიც ყამირს გაეთამამებინა და ბალახზე გადაეტარებინა. საზამთროს ორი ნაყოფი უჩანდა — ერთი ძალიან დიდი, მეორე კი პატარა. უფრო პატარას — ასე შვიდიოდე კილოსას, მისდგომოდა ვირი და ბალახით დანაყრებული ახლა დესერტს ახრამუნებდა. მამამ ვირი ბალახზე მიაგდო, დანა მოიმარჯვა, საზამთროს პირუტყვის პირდაუკარებელი ნაწილი მოაჭრა, მერე შვილი გვერდით მოისვა და წითელს, ჩახვირიშებულსა და ძალზე გემრიელ ხილს ჭამა დაუწყეს. კარგად რომ გამოძღა ილიკო, საუბრის ხასიათზე დადგა:

— მამა, ვინ დათესა ეს საზამთრო? — ჰკითხა მამას.

— ალბათ თავისით მოვიდა.

— როგორ თავისით?

— ეტყობა ერთადერთი საღი თესლი მოხვდა აქ ვიღაცის ან რაღაცის შემწეობით, მერე თესლი მინაში გაღვივდა, ამოვიდა და ნაყოფი დაისხა. ხედავ, რამდენგვარი სიკეთის მქმნელია ბუნება! მიწა მომიხნავს, თესლი დამითესია, ზრუნვა და ხელის მადლი არ დამიშურებია, მაგრამ მოსავალი ცუდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

ამინდის გამო ერთიანად გამცდენია. ამ ერთადერთ თესლს კი ისე შესწყობია ხელი თვით ბუნებისაგან, რომ უგუთნოდ, უბაროდ, უთოხოდ, მოურწყავად ასეთი ნაყოფი შემზადებულა. მამამ ახლა მეორე, გაუჭრელ, ვეებერთელა საზამთროს მოუჭირა ხელი — შეამოწმა, მწიფეაო თუ არა, და კმაყოფილმა და სახეგაბრწყინებულმა ნაილაპარაკა:

— აბა ეს იქნება ჩამტკბარ-ჩახვირიშებული, აი!

უკან დაბრუნებისას ვირზე შემჯდარი ილიკო ხელებს უთათუნებდა უჩვეულო ნადავლს, თითქოს ეფერებაო, და მამას ეკითხებოდა:

— სხვა დროსაც ხომ წამომიყვან ჩალაში?

მამას გაეცინა, გაიფიქრა: ჩემს შვილს, ეტყობა, ჰგონია, ბუნება ყოველთვის უმზადებს ადამიანებს ისეთ საჩუქრებს, როგორის ღირსიც დღეს გაგვხადაო; მაგრამ მაინც უპასუხა შვილს:

— წამოგიყვან, მაშა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედეა კახიძე

ზებრა

ეს ზებრაა
თუ ჩვენი
ვირი შეუღებიათ?
ვაი, ახლა
რაღა ექნათ,
რომ ვერ იცნოს
ბებიამ!

ძროხა

ტყეში ბაღახობს
ნეკერჩზე
ჩვენი
ღამაზი ფური,
საღამოს
სახლში ბრუნდება,
მოაქვს
რძით სავსე ცური.
ჩვენთვის
იმეტებს ყველაფერს,
ხაპო გინდა თუ
ყველი.
არავინ არის
ამ ქვეყნად
ძროხაზე საყვარელი.

ზივი ჭიჭინაძე

პინგვინები

არც ყვავიღი მოჩანს მაცნედ
და არც მოღი ბიბინებს.
თოვლის ქაღებს, თოვლის კაცებს—
რა ახარებთ პინგვინებს!
ცხრათვაღა მზე იღიმება,
ნიავქარი ღიღინებს.
ბაბაფუტღი პინგვინებმა
ყინულებთან მოეღანზე
ისრიაღეს, ირბინეს.
ვის წაართვეს ოქროს თასი
პინგვინებმა?
— პინგვინებს!
მერე, როცა ღხინის შემღეგ
შეშხუნებმაც იგრგვინეს,
საცეკვაოდ ვის იწვეღნენ
პინგვინები?
— პინგვინებს!
ერთად უყვართ ჭამა, ცეკვა,
სიხარულიც ერთი აქვთ—
მათ ჰგონიათ, რომ სუყვეღგან
მხოლოდ პინგვინეთია.



კამეჩი

ბაბას ჰყავს
შავი კამეჩი,
წყნარია, ბავშვებს
არ ერჩის.
როცა გაძღება
ბალახით,
წყება მუხღამდე
ტალახში.
რაც გინდა
ვეღაპარაკო,
ჩემი ნათქვამი
ფუჭია.
ვინ გაუხღება
შეგობრად
ასეთ ფეთხუმს და
ბუტყიანს!

ზიორგი ზიგაური

იქნება ქალაქი—ზღაპარი

ბაბაფუტღის ენა ღიღით
მოდგა ვერის ნაპირთან
ბუღდუნური ვეფხა
და ღიდები ბორცვები,
ბაასწორი ბორცვები.
ამოავსო ხანაში
ფერდოს აპყენენ ნერგები
ფეშვების და აღვების.
შეუნებლებმა მიდამო
კოხტა ბაზებით ფასურს,
მოდგნები მოაწყეს,

აშენეს და აშენეს.
კიბეებიც ღაადეს
მაღლიანი ხეღებით,
მოეღანზე გამართეს
კოხტა კარუსეღები.
ციცქნა ავტომობიღებს
მოუყარეს თავი,
მწვანეც არის, ცისფერიც,
წითეღიც და შავიც.
აღბათ მიხვეთ, გიყვებით
უღამაზეს ქალაქზე,

„მზიური“ რომ უწოდეს,
„შეუტეს და ბალაქს,
ღიდ სიამეს მპირდებათ,
ეპატეს

ბაღარეს,
ბამოიშიდან. „ბალმამდე...
მეზობლობა „ბალმამდე...
ღამთავრდება „მზიური“
და ხეობა ვერისა
ემგვანება ბღაპარს!

ჯოხოლას ნაამბობი

ხეივანში, თითა ყურძენზე იყო ჩვენი ბუდე. დღისით დედას საჭმელი მოჰქონდა და ხუთ და-ძმას თანაბრად გვინაწილებდა, საღამოობით ზღაპრებს გვიყვებოდა. ფრთებს გადაგვაფარებდა, ჩაგვათბუნებდა და ჩვენც, ერთმანეთს მიკრულებს, ჯერ ჩაგვთვლემდა, მერე მაგრად ჩაგვეძინებოდა.

ჩვენი თანამოძმეები მრავლად არიან. ვაზზე, ბროწეულზე, ბუჩქნარ მცენარეებზე იკეთებენ ბუდეს. ვცხოვრობთ ვენახებში, ტყისპირებში, ჭალებში და ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. არასოდეს არც ვჩხუბობთ, არც ვკინკლაობთ და დედას ყველაფერს ვუჯერებთ.

მხოლოდ ერთხელ არ გავუგონეთ და მაშინაც მკაცრად დავისაჯენით. აი, როგორ მოხდა ეს.

ახალი შებუმბლულები ვიყავით. შეიძლება ითქვას, ბუმბული კი არა, პატარა ბუსუსები გვქონდა.

ვენახში ერთი მოხუცი და ერთიც ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. ზურგზე რაღაც ყუთი ეკიდათ, მარჯვენა ხელში გრძელი ლითონის ჯოხი ეკავათ, მარცხენით ლითონისავე ტარს ატრიალებდნენ. მილიდან შხუილით გადმოდიოდა ხსნარი და შხეფებად ესხურებოდა ვაზების ფოთლებს.

— ეგ ხსნარი შაბიამანია, — გვითხრა დედამ. — ეს კაცები ვენახს წამლავენ. ხსნარი ჩვენთვის მაწყინარია, წვეთიც რომ მოგხვდეთ თვალში, დაგაბრმავებთ, მაგრამ ეს არაფერი. ფრთებს დაგაფარებთ და არ გაიწუწებით. მთავარია, ხმა არ ამოიღოთ, თორემ შეგვნიშნავენ და ბუდიანად მოგვიტაცებენო, — და მზრუნველად გადაგვაფარა ფრთები.

ჩვენ არ დავუჯერეთ, ავქოთქოთდით, ნისკარტები დავცხეთ დედას მკერდზე, გვშია, გვშია-თქო, — გავიძახოდით.

დედა შეშფოთდა:

— რა გემართებათ თქვე ღორმუცელებო, ახლა არ დაგაპურეთ!

ჩვენ გავჯიუტდით: გვშია, გვშია-თქო, და ისევ და ისევ დავცხეთ მკერდზე ნისკარტები.

შეწუხდა დედა:

— კარგი, მოგიტანთ ჭიაღუებს, ოღონდ ჩემს მოსვლამდე კრინტი არ დაძრათო, — და გაფრინდა.

ამასობაში მოხუცი და ახალგაზრდა მოგვიახლოვდნენ. მოდიოდნენ და ხეივანს შაბიამნის ხსნარს ასხურებდნენ.

ცნობისმოყვარეობამ გვძლია, დაგვავიწყდა დედის რჩევა, ბუდიდან თავები ამოვყავით და ვენახში მომუშავეებს მაღლიდან ცქერა დავუწყეთ, თან დავცინოდით:

— შეხედეთ, როგორ წურწურით ჩამოსდით-მეთქი ოფლი, — ვთქვი მე.

— ბებერი ძლივს სუნთქავს, — დაიყვირა ჩემმა დამ — ჭიკამ.

— ამ გაგანია სიცხეში რა ამუშავებთ! — დაიძახა ჩემმა ძმამ — ნისამ.

— როგორი ჭუჭყიანები არიან, — ზიზღით თქვა უმცროსმა დამ — სინამ.

— გიჟები! — ჩაიხითხითა ნაბოლარა ძმამ ბიმმა.

— ეე!! გიჟებო, გიჟებო! — ერთხმად დავძახეთ ხუთივემ.

— აქ, სადღაც ჯიხოლას ბუდე უნდა იყოს. — ჩაილაპარაკა მოხუცმა და ყუთი ზურგიდან მოიხსნა — ეს აპარატი აქ იდოს. ბუდეს მოვძებნი და შვილიშვილებს მივუტან.

ახალგაზრდამაც მოიხსნა აპარატი. მაშინ

კი გავისუსეთ, მაგრამ რაღა დროს. გვეძებეს, გვეძებეს და გვიპოვეს. მოხუცმა ბუდე ჩამოიღო:

— რა კარგი ბარტყები არიან. შვილიშვილებს გავახარებ.

ორივენი ხეივნიდან გავიდნენ და ბილიკს გაუყვნენ. ლამის გულები დაგვისკდა. გაგვახსენდა დედის დარიგება და ცრემლები ღაპაღუპით წამოგვცვივდა.

ეზოში დედაბერი იჯდა და წინდებს ქსოვდა. ბავშვები დამალობანას თამაშობდნენ.

— ბავშვებო! ჯიხოლას ბარტყები მოგიყვანეთ, — ბერიკაცმა შუბლზე ოფლი მოიწმინდა. ბავშვებმა მოირბინეს. — თქვენც ხუთნი ხართ, ბარტყებიც ხუთნი არიან.

ბავშვებმა ჟრიამული ატეხეს, ტაში დასცხეს. ბებიაც მოვიდა და ყველანი აივანზე ავიდნენ. ბუდე კედელზე ჩამოკიდებულ თაროზე დადგეს და ჩვენზე დაიწყეს ბაასი. რას არ გაიგონებს ყური: გალიაში ჩავსვათო, თუთა ვაჭამოთო, თბილისში წავიყვანოთო, ზოოპარკს ჩავაბაროთო, კატამ არ შეჭამოსო, ფაფით გამოვკვებოთო. ასეთი სიტყვები პირველად გვესმოდა.

ის მოხუცი და ახალგაზრდა ისევ ვენახში წავიდნენ. ბებია და შვილიშვილები აივანზე დარჩნენ. ბაშვებმა კედელთან სკამი მიადგეს, ზედ რიგ-რიგობით დგებოდნენ და გვეფერებოდნენ.

საღამოს ყველა ისევ აივანზე შეიკრიბა, დიდ მაგიდას შემოუსხდნენ და ვახშამს შეექცნენ. ისევ ჩვენზე საუბრობდნენ: შოთი პურები ვაჭამოთო, ღვინო დავალევინოთ და მწვანე ლობიოთი გავასუქოთო. ბოლოს ჩვენი სადღეგრძელოც კი დალიეს.

ღამით, როცა ყველამ დაიძინა, ბუდიდან თავები ამოვყავით და საცოდავად ავქვითინდით — დედა გვენატრებოდა.

მეორე დღეს ბავშვებმა ბუდეში კანფეტები ჩაგვიწყვეს. ერთხანს თავი შეიქციეს ჩვენთან ყოფნით. სახელები გამოგვიცვალეს ყველას. მე შიო დამარქვეს, ჩემს დას, ჭიკას — თედო (ვერ გაარჩიეს, რომ გოგო იყო), ნისას — სოსო, სინას — ლია, ბიმს — გიო.

ჩვენ კი ჩვენი დარდი გვკლავდა. მალე ბავშვებს მოსწყინდათ ჩვენთან ყოფნა და ეზოში ჩაირბინეს.

ჩვენ გული გვისკდებოდა — ჭრელი კატა დასეირნობდა აივნის მოაჯიჩრზე და ავი თვალით ამოგვხედავდა ხოლმე.

ავზლუქუნდით.

ამ ვიშვიშში ვიყავით, რომ დედაჩვენის ხმა შემოგვესმა:

— ნუ გეშინიათ, აქა ვარო — გადაუფრინა და გადმოუფრინა ეზოს. მერე აივანზე შემოფრთხიალდა, იქაურობა კარგად დაზვერა და ბუდეს ფრთები გადააფარა, მოგვეფერა, მოგვესიყვარულა, დაგვაშოშმინა.

— ნუ გეშინიათ, რაკი მოგაგვენით, საჭმელსაც დროზე მოგიტანთ, ფრენასაც მალე გასწავლით და აქედან შორს წაგიყვანთ, კატის კი ნუ შეგეშინდებათ, ვერას დაგაკლებთ, აქ ვერ ამოვაო.

— უი, დედა ჯიხოლა მოფრენილა, დახეთ, როგორ ჰყვარებია შვილებიო, — დაიძახა ამ დროს ბებიამ.

ამის შემდეგ დედა თავს აღარ გვანებებდა, გვივლიდა, საკვებს გვიზიდავდა. მალე ფრენაც გვასწავლა. ბავშვებს ფრთების ქნევით გამოვემშვიდობეთ, ვენახს გადავუქროლეთ და ჭალას მივაშურეთ.

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი და გოგონა

გოგონა ნანა სახით ფანჯრის მინას მიჰკვროდა და ეზოში გაიყურებოდა. ეზოში ქარი დარბოდა, ერთ ამბავში იყო: ყირა-ყირა გადადიოდა, ხტოდა, კოტრიალობდა, ყურის წამლებად უსტვენდა... გოგონას ფანჯარასაც აურბინა-ჩაურბინა, ზედ მიახტა და შეაზრიალა. გოგონა შეკრთა.

— ხედავ, როგორი ვარ, — მეორედ მიახტა ქარი ფანჯარას.

— როგორი? — დაკეტილი ფანჯრიდან გამოსძახა გოგონამ.

— ღონიერი, — თავმომწონედ გაიქროლ-გამოიქროლა ქარმა,—გამოდი გარეთ, ქარების სიმღერებს გიმღერებ, ყვავილებს დაგიკრიფავ!..

— თმებში მწვდები, გამწეწავ, ცხვირ-პირში მტვერს და ბუქს შემომაყრი, წამაქცევ, არა? — გააგრძელა გოგონამ.

— დიდი რამე... ქარი ვარ, რას იზამ? — ჩაიცინა ქარმა.

— არ გამოვალ. იმიტომ ხარ ღონიერი, რომ ყველა შენს ნებაზე გვატარო?

ქარმა უკმეხად წაუტია:

— ნუ ჯიუტობ, გირჩევნია შენი ნებით გამოხვიდე, თუ არა, ფანჯარას შემოვამტვრევ და... მოგიტაცებ!

— დაგემალები.

გოგონა ფანჯარას მოსცილდა და ოთახის სიღრმეში გაუჩინარდა. ქარი ფანჯარას მიაწყდა, შეაფრიალა და ოთახში შევარდა. ოთახში არავინ იყო. ქარმა იქაურობა გადააქოთა, ვერ იპოვნა გოგონა და დაიყვირა:

— სულ სახლში ხომ არ ივჯდები, გარეთ აღარ გამოხვალ? — ცოტა დაუცადა. რომ არავინ გაეპასუხა, გაჯავრდა, ისევ ეზოში გავარდა, და ფანჯარაც მიეჯახუნა. ერთხანს ჩიტებს სდია კუდში, ძაღლსა და კატას წაეკიდა, ხეებთან ეჯაჯგურა... კარგა ხანს იბორიალა აქეთ-იქით... გული მაინც არაფერზე დაუდგა: სულ ის გოგონა ედგა თვალწინ: „ხმის გაცემასაც არ კადრულობს, ნეტავ ვინა ბრძანდება, ასე რომ მედიდგულება?“ რამდენიმეჯერ ქვეშ-

მხატვარი **გესო ხიდაშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეშ, მალულად გახედა ფანჯარას. არა და არა ჩანდა გოგონა. თავისი რომ ვერ გაიტანა, ქარი მაყვლის ბარდში შეძვრა და გაინაბა. მიჩუმდა თუ არა ქარი, გოგონაც გამოჩნდა ფანჯარაში. ქარი მაშინვე გამოვარდა ბარდიდან, ოღონდ აურზაურით კი აღარ, შეუმჩნევლად, ფეხაკრეფით გაიარა ეზო, ისე რომ მტვერი და ბუქი არ დაუყენებია ჰაერში; ხეებს მსუბუქი ქროლვით გადაევლო, ოდნავ შეუთრთოლა ფოთლები, ფანჯარას ისე შეეხო, არ შეუზრიალებია.

— ჩამდგარა ქარი, ახლა ნიავია, — წაიდუდუნა გოგონამ და ფანჯრის რაფაზე გადმოეკიდა. ქარი გვერდში მიუჯდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ეგ ნიავი ხომ ისევ მე ვარ — ქარი, ოღონდ მიწყნარებული, — სახიდან თმის ბულული გადაუწია და ლოყაზე აკოცა.

— ჰო, და.. ძალიან კარგი, მიწყნარებული მომწონხარ: ახლავე გამოვალ შენთან. გოგონა ადგა და ეზოში გავიდა. მიწყნარებულმა ქარმა მაშინვე მწიფე ალუბლის ტოტი გადმოუზნიქა: მოკრიფეო. კიდევ რომელიღაც ხე შეარხია და ნამი მძივებივით დაყარა თავზე. მერე მთელი დღე გვერდიდან არ მოსცილებია: თავზე ევლებოდა და ეფოფინებოდა, ოღონდ დროდადრო მაინც ბრაზი წაეკიდებოდა გოგონაზე, — მე კი არა, თვითონ მატარებს თავის ნებაზეო. უნდოდა თავისებურად ავარდნილიყო, მაგრამ შეხედავდა გოგონას მხიარულ სახეს და წყნარდებოდა, — არა, რისთვის, თორემ ამის შეშინებას რა უნდა, ერთი რომ წამოვუქროლო, დაფრთხება, ღრუბელივით ატირდება, სახლში გაიქცევა და დამემალებაო. მერე თავისთვის ჩუმად მაინც მღეროდა შფოთიანი და გადარეული ქარების სიმღერებს. გოგონას ესმოდა და ვითომც არ ესმოდა; თავისთვის ღიღინებდა. კარგ ხასიათზე იდგა და ქარსაც კარგ გუნებაზე აყენებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



წეროვნის საშუალო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები

მარეხ კიკნაძე
ზღვის ცხოველები

„ლილის" საბავშვო ალბომი

ზურაბ ოქრუაშვილი
კოდალები

ცხოველები ტყეში
სამურბეგ კაზიევი

ლარისა მნათოგიშვილი
პეიზაჟი

გაგა გაგაშვილი
წერო

კიკნაძე გულნარა
გოგონას პორტრეტი

ნანა მძელური
ნატურმორტი

ჯეფალ ძირია

ერთ სოფელში ცხოვრობდა პატარა ჩიკორი. სულ სოფლის ბიჭებთან თამაშობდა. დედა ალერსით ჩიკორიკოს ეძახდა. ვინაცვალე, ისეთი დაუღლელია, მთელი დღე რომ იტრიალოს, ოდნავაც არ დაიქანცებაო. ისე იყო თავის საქმეში დაოსტატებული, მუდამ თითის წვერზე იდგა და სხვა დოყლაპია ჩიკორებივით გვერდზე მიგდებული არავის უნახავს. ბავშვებს ძალიან უყვარდათ ჩიკორიკო. თხილის წნელს რომ აიღებდნენ და ფეხში დასცხებდნენ და დასცხებდნენ, ისე დატრიალდებოდა, ისე დაბზრიალდებოდა, თვალს ვერ შეავლებდით — იმ ადგილას მხოლოდ ზუზუნი მოისმოდა. მთელი სოფელი ჩიკორიკოს შეჰყურებდა. ყველას ეგონა, კარგად ვიცნობთ ჩვენს ჩიკორიკოსო, მაგრამ სინამდვილეში ამ ბზრიალ-ბზრიალში ვერავინ ხვდებოდა, სახე სად ჰქონდა და ზურგი სად. ამიტომაც მის გულში რა ცეცხლიც ენთო, არავინ იცოდა. ყოჩაღად ტრიალებდა, და ეს რა კარგი ჩიკორიაო, ყველა ამას იძახდა.

ჩიკორიკოს ხშირად ესმოდა ეს წამოძახილები. თანდათან გაამაყდა, მე ვყოფილვარ, რაც ვყოფილვარ, ჩემზე მამაცი და ლამაზი არავინ არისო. სადღაც იმასაც მოჰკრა ყური, ესპანელთა ენაზე ჩიკო რიკო „ოქროს ბიჭს“ ნიშნავსო და მთლად თავში აუვარდა. ქართული ჩიკორი რა მოსატანია, ოქრო ბიჭი ვარ, უცხო ქვეყნიდან ჩამოხეტებული, მეფის გვარზე ნაკლები ჩემი გვარიც არ იქნებაო და ყველამ უფლისწული ჩიკორიკო უნდა დამიძახოსო... სანამ ამას გულში ფიქრობდა, სოფელმა რა იცოდა — სოფლის ბიჭები ძველებურად ერთობოდნენ და ჩიკორიკოც ძველებურად ბზრიალებდა. ყველამ იცის, ჩიკორს თუ არ ურტყი, ისე ვერ იბზრიალებს და ბავშვებიც ღონეს არ იშურებდნენ. ადრე ჩიკორიკოს უფრო ის ბიჭები მოსწონდა, ძლიერად რომ ურტყამდნენ წნელს, ახლა კი გონებაში გაივლო, მე, უფლისწულ ჩიკორიკოს, როგორ მიბედავენ და წნელით მცემენო. დაიბოღმა და გულში ავი ზრახვა ჩაიდო. ერთხელაც, პატარა ბიჭმა წნელი რომ მოუქნია, ჩიკორიკო მოსწყდა მიწას, ონავარს ცხვირში ეტაკა და სისხლი ადინა. „ვაიმე, დედა!“ — წამოიძახა პატარა ბიჭმა. ბავშვებმა თამაშს თავი მიანებეს და დაშავებულს მისცვივდნენ. უფლისწულმა ჩიკორიკომ ცოტა ხანს კიდევ იბზრიალა, იბზრიალა და მტვერში ჩამეხო... ამის შემდეგ აღარავინ სცემდა, მაგრამ საბრალო ბზრიალას გაახსენდა, რომ უფლისწული ჩიკორიკო კი არა, ძაფის უბრალო კოჭი იყო და ოდესღაც დედამ ჩიკორად გამოთალა...

მხატვარი მარინე გაგიტაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალი აკლდებოდ



მისარითმი

მოსწყვა მიწას
და ჰაერი
სულ შუშხუნით გაკვეთა,
მაღლა ცაში მთვარისაკენ
სწრაფად მიქრის.....

●

მასზე სხვა ზის,
თვითონ იგი
ვერა ჯდება ნამით,
აქვს ფეხები და ვერ დადის,
თქვი, რა ჰქვია?
.....

გიორგი შეთიკაური

გამოცანა

მიწაში ისე მოძრაობს
როგორც თხუნელა მარდი,
არცა ავდარი აწუხებს,
არც უმზეობის დარდი.
თუ მიწის პირზე ამოვა,
არც მაშინა აქვს ფიქრი.
ჭურჭელი გაგიგონიათ?
ისეთნაირად მიქრის.

ნუგზარ აფხაზავა

გამოცანა

დამწვარ ლითონს მიგავს
ქურქი,
მარჯანია ჯავშან-ზღუდე,
ბასრმა დანამ მე გამაპოს
ან მზის სხივმა ამხსნას
ბუდე.
ლალ-ძოწფერი ბეჭდის
თვლები
გადმოიბნეს, ცქერა
გსურდეს,
თვალი მოგჭრას სილამაზემ,
მარგალიტო, შენც
შეგშურდეს.

სერგო ხაფავა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის

გამოდის 1927 წლიდან

სსკ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

ყდაზე ნახატი ბესო ხიდაშელისა

მთავარი რედაქტორი ენვერ ნიქარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ აბგოკაძე, ილია ანთელავა, კუკური ბოგიანშვილი, სოლომონ დეკანოზიშვილი, ლეილა ერაძე, მანანა კოპალიანი, ზურაბ ლეშკასელი (პასუხისმგებელი მდივანი), ბელა ლოსაბერიძე, მაკვალა მრევლიშვილი, ჯურაბ ნადირაძე, გიორგი ოქიანიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), მანანა ხარიძე, ბეჟან ხიჯინაძე.

ტექნიკური რედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; გამყოფ. 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 10.VI. 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.VII. 83 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/16. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 168000; შეკვ. № 1204. «Дила» № 8. журнал для младшеклассников на грузинском языке. Главный редактор Э. Нижарадзе. Тбилиси, Ленина, 14. Ц 20 к.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76035
ეროვნული ბიბლიოთეკა







ხითხითელა

ედ. ამგოკაძის

ნახატები